საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/233 " 14 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ტოგონიძის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, ირმა ტოგონიძე 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2018 წლის 18 იანვრიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე პერიოდში ირმა ტოგონიძის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (ვ. მშვენიერაძე; თ. ონიანი; რ. ნადარაია) და სამი არამოსამართლე (შ. ქადაგიძე; ა. დოლიძე; ი. გელაშვილი) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე ირმა ტოგონიძის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 524 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 87,3%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (**მომხრე:** ი. ბონდარენკო; ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; დ. გვრიტიშვილი; თ. ლეონიძე; ნ. მარსაგიშვილი; ვ. მშვენიერაძე; თ. ონიანი; ნ. ქადაგიძე; შ. ქადაგიძე; თ. ღვამიჩავა; ი. შენგელია; ქ. ცინცაძე; ზ. ხარებავა. **წინააღმდეგი:** ნ. ჯანეზაშვილი.) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, ბათუმიის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ირმა ტოგონიძე 2021 წლის 18 იანვრიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე